სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 ივნისი, 2025 წ.

ბრძანება N 01-08/414

,,ბსუ-ს აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **აგრო სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე " ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 18 ივნისის N01-08/411 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" და ბსუ-ს შორის „აგროსტიპენდიის" ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ 2025 წლის 03 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 13 მარტის N01-02/47 ბრძანების, ,,აგროსტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შესარჩევი კონკურსის თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 04 ივნისის N01-02/114 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სლოვენიაში, ქალაქ მარიბორში მივლინების შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 მაისის N01-14/188 ბრძანების, ბსუ-ს პერსონალის თურქეთში, ნევშეჰირის უნივერსიტეტში მივლინების შესახებ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2025 წლის 16 ივნისის N01-06/197 ბრძანებისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 17 ივნისის №685914 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აგრო სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე '' **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 18 ივნისის N01-08/411 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ,** N1 დანართში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სტუდენტის პირად ნომერთან მიმართებით და ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა აცნობოს შესაბამის სტუდენტს (განათავსოს მის პირად საქმეში) და სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს''.
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. სირაძე

,,ბსუ-ს აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აგრო სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის თაობაზე '' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 18 ივნისის N01-08/411 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ''

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 ივნისის N 01-08/414 ბრძანების
N1 დანართი

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,აგრო სტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები
(საფუძველი: ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" და ბსუ-ს შორის ,,აგროსტიპენდიის" ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ 2025 წლის 03 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება)

,,აგრო სტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სწავლების საფეხური/საგანმანათლებლო პროგრამა	,,აგრო სტიპენდიის" ერთჯერადი ოდენობა ლარში (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).
ლიკა ხარაძე		ბაკალავრიატი/,,აგრარული ტექნოლოგიების" მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი
ლია დავითაძე		ბაკალავრიატი/,,აგრარული ტექნოლოგიების" მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი	1000 ლარი